საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/29

ქ. ბათუმი 28 თებერვალი, 2019 წელი

ბსუ-ს მიერ სოციალურ ქსელში „Facebook“ განთავსებული ინფორმაციისა და ბსუ-ს აქტივობების რეკლამირების მომსახურების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სოციალურ ქსელში „Facebook“ განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების მეტი ხელმისაწვდომობისათვის მიზანშეწონილია მათი რეკლამირების მომსახურებით სარგებლობა, რადგანაც ბსუ-ს ძირითადი ფოკუს ჯგუფის - ახალგაზრდების უმრავლესობა ინფორმაციის ძირითად ნაწილს სოციალური ქსელით ღებულობს. აღნიშნული მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებელია სოციალური ქსელი „Facebook“, აქედან გამომდინარე აღნიშნული მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესაბამისად.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) წესდების მე-15 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო დოლიძის 2019 წლის 11 იანვრის №MES 3 19 00020624 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სოციალურ ქსელში - „Facebook“ ბსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისათვის დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურს:

ა) წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება შეათანხმოს სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
ბ) სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებაზე სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანხმობის მიღების შემდგომ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურთან თანამშრომლობით;

2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული შესყიდვის ღირებულებად განისაზღვროს 1500 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო მისი მომსახურების ვადად - 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, შესყიდვების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე